

შპს სინეო საქართველო
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს სინეო საქართველო

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის



სარჩევი

1. მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
4. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9-22

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		2023	2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	2,509,918	2,487,659
არამატერიალური აქტივები	4	51,808	97,001
		2,561,726	2,584,660
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	2,951,802	4,207,646
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	533,046	394,269
მარაგები	7	629,137	626,204
		4,113,985	5,228,119
მთლიანი აქტივები		6,675,711	7,812,779
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,401,018	3,401,018
რეზერვები და ფინანსირება		-	48,253
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,110,489	208,395
		6,511,506	3,657,666
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	164,205	508,898
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	3,646,215
		164,205	4,155,113
მთლიანი ვალდებულებები		164,205	4,155,113
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,675,711	7,812,779

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია
 2024 წლის 02 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

არიელ ლევ გატუმკინი

რუსუდან აბულაძე

შპს სინეკო საქართველო
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		2023	2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	2,509,918	2,487,659
არამატერიალური აქტივები	4	51,808	97,001
		2,561,726	2,584,660
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	2,951,802	4,207,646
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	533,046	394,269
მარაგები	7	629,137	626,204
		4,113,985	5,228,119
მთლიანი აქტივები		6,675,711	7,812,779
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,401,018	3,401,018
რეზერვები და ფინანსირება		-	48,253
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,110,489	208,395
		6,511,506	3,657,666
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	164,205	508,898
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	3,646,215
		164,205	4,155,113
მთლიანი ვალდებულებები		164,205	4,155,113
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,675,711	7,812,779

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია
2024 წლის 02 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

Ariel Gatushkin

არიელ ლევ გატუშკინი
რუსუდან აბულაძე

9 - 22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

3/21



მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2023	2022
ამონაგები	9	11,934,095	11,588,753
თვითღირებულება		(5,073,577)	(4,733,348)
საერთო მოგება		6,860,517	6,855,405
სხვა შემოსავლები	10	4,321	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(4,035,166)	(4,082,642)
მიწოდების დანახარჯები	12	(90,053)	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	13	6,456	(373,940)
სხვა ხარჯები	14	(220,913)	(25,692)
საოპერაციო მოგება		2,525,163	2,373,131
ფინანსური შემოსავალი	15	329,832	82,450
ფინანსური ხარჯი	15	-	(9,809)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		329,832	72,641
მოგება დაბეგვრამდე		2,854,995	2,445,772
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		2,854,995	2,445,772
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია

2024 წლის 02 სექტემბრის შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

არიელ ლევ გატუშკინი

ფინანსური მენეჯერი

რუსუდან აბულაძე

9 - 22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს სინეო საქართველო
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2023	2022
ამონაგები	9	11,934,095	11,588,753
თვითღირებულება		(5,073,577)	(4,733,348)
საერთო მოგება		6,860,517	6,855,405
სხვა შემოსავლები	10	4,321	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(4,035,166)	(4,082,642)
მიწოდების დანახარჯები	12	(90,053)	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	13	6,456	(373,940)
სხვა ხარჯები	14	(220,913)	(25,692)
საოპერაციო მოგება		2,525,163	2,373,131
ფინანსური შემოსავალი	15	329,832	82,450
ფინანსური ხარჯი	15	-	(9,809)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		329,832	72,641
მოგება დაბეგვრამდე		2,854,995	2,445,772
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		2,854,995	2,445,772
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია
2024 წლის 02 სექტემბრის შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

Ariel Gatushkin

პირიელ ლევ გატუშკინი

რუსუდან აბულაძე

9 - 22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების
 ანგარიშგება**

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარი	3,401,018	48,253	1,408,838	4,858,109
წმინდა მოგება	-	-	2,445,772	2,445,772
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2,445,772	2,445,772
გაცემული დივიდენდი	-	-	(3,646,215)	(3,646,215)
2022 წლის 31 დეკემბერი	3,401,018	48,253	208,395	3,657,666
წმინდა მოგება	-	-	2,854,995	2,854,995
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2,854,995	2,854,995
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილება	(0)	(48,253)	47,099	(1,154)
2023 წლის 31 დეკემბერი	3,401,017	-	3,110,489	6,511,506

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია
 2024 წლის 02 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

არიელ ლევ გატუშკინი

ფინანსური მენეჯერი

რუსუდან აბულაძე

9 - 22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს სინეო საქართველო
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების
ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარი	3,401,018	48,253	1,408,838	4,858,109
წმინდა მოგება	-	-	2,445,772	2,445,772
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2,445,772	2,445,772
გაცემული დივიდენდი	-	-	(3,646,215)	(3,646,215)
2022 წლის 31 დეკემბერი	3,401,018	48,253	208,395	3,657,666
წმინდა მოგება	-	-	2,854,995	2,854,995
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2,854,995	2,854,995
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილება	(0)	(48,253)	47,099	(1,154)
2023 წლის 31 დეკემბერი	3,401,017	-	3,110,489	6,511,506

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია
2024 წლის 02 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

9 - 22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

Ariel Gatushkin

არიელ ლევ გატუშკინი

რუსუდან აბულაძე



Handwritten signature in blue ink.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სინეგო საქართველო (ს/ნ 204525736) (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2007 წლის 15 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, წინანდლის ქ., N 9,(ნაკვ: 1/56). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100% წილის მფლობელია: კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია მედიკოვერ ინვესტმენტ ბი.ვი., 34183149 /ნიდერლანდები. კომპანიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის დირექტორი - რუსუდან აბულაძე, 01024028984 ,სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული, დირექტორი - არიელ-ლევ გატუშვინ, 3-0762295-1, 20350337, 01991010086 /ისრაელი/ ,ერთპიროვნული და დირექტორი - რადუ დანიელ პერიანუ, 1770121131317, 057677293 /რუმინეთი/, სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული.

კომპანიის საქმიანობა არის სამედიცინო ლაბორატორიული მომსახურება (ანალიზები), ტესტები და დიაგნოსტიკა. თბილისსა და საქართველოს რეგიონებში იჯარით აქვს აღებული ფართები სამედიცინო საოპერაციო საქმიანობის წარმართვის მიზნით, კერძოდ სისხლის ასაღები ობიექტები. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი ობიექტების რაოდენობა არის 47.

კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და იგი საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6-ბ“ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი, შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება წარმოადგენს სამედიცინო კვლევებზე გახარჯულ, პირდაპირ მიკუთვნებული მასალების და ნედლეულის ხარჯებს, აგრეთვე შრომის ანაზღაურებას და სხვა ტიპის ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული სამედიცინო კვლევების განხორციელებასთან. მასალები და ნედლეული თვითღირებულებაში აისახება გამოყენებისთანავე, ხოლო სხვა ტიპის ხარჯები, ხარჯების გაწევის პერიოდის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის

განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31/12/2023	31/12/2022
1 USD/GEL	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9753	2.8844

მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;

ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	მომსახურების ვადა
მანქანა დანადგარები	3-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-10 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	4-5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	საიჯარო კონტრაქტის ვადის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 10 წლისა
სხვა	3-5 წელი

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. შემდგომ, ის ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. თუმცა, თუ ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე, მუდმივად, ნებისმიერ დროს, ის ფასდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგება განცალკევებით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის:

არამატერიალური აქტივები	მომსახურების ვადა
პროგრამული უზრუნველყოფა	3-5 წელი
სხვა არამატერიალური აქტივები	10-20 წელი

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში მიღებული შემოსულობა ან ზარალი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების დიდ ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად

ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით.

შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია; (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა

მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ნაშთები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 33-ე განყოფილების შესაბამისად, მხარეები განიხილება როგორც დაკავშირებული, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილების მიღებაში.

თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების განსაზღვრისას, ყურადღება გამახვილებულია არა მარტო იურიდიულ ფორმაზე, არამედ ამ ურთიერთობის შინაარსზეც.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახულია წინამდებარე ანგარიშგებაში. ხოლო მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, აისახება ახსნა-განარტებით შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

კომპანია ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, მოსალოდნელია რესურსების გადინება და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. პირობითი ვალდებულებები აისახება მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. ის აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ავტო და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2021	755,336	226,513	249,372	319,132	1,550,353
შემოსვლა	765,752	246,227	126,301	267,820	1,406,100
გასვლა	-	-	-	-	-
გაუფასურება					
პერიოდის ცვლა	(207,489)	(78,846)	(43,667)	(138,792)	(468,794)
31 დეკემბერი 2022	1,313,599	393,894	332,006	448,160	2,487,659
ცვლა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2022	1,313,599	393,894	332,006	448,160	2,487,659
შემოსვლა	212,128	143,441	93,728	205,959	655,257
გასვლა	(1,083)	(11,437)	(9,592)	-	(22,112)
გაუფასურება	-	-	-	-	-
პერიოდის ცვლა	(266,435)	(108,672)	(81,684)	(154,095)	(610,886)
31 დეკემბერი 2023	1,258,209	417,226	334,459	500,025	2,509,918
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2022	1,313,599	393,894	332,006	448,160	2,487,659
31 დეკემბერი 2023	1,258,209	417,226	334,459	500,025	2,509,918

შენიშვნა 4

არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა / ლიცენზიები	სულ
31 დეკემბერი 2021	145,932	145,932
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
გაუფასურება	-	-
პერიოდის ამორტიზაცია	(48,931)	(48,931)
31 დეკემბერი 2022	97,001	97,001
ცვლა და გაუფასურება		
31 დეკემბერი 2022	97,001	97,001
შემოსვლა	3,545	3,545
გასვლა	-	-
გაუფასურება	-	-
პერიოდის ამორტიზაცია	(48,737)	(48,737)
31 დეკემბერი 2023	51,808	51,808
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2022	97,001	97,001
31 დეკემბერი 2023	51,808	51,808

შენიშვნა 5

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023	2022
ნაღდი ფული სალაროში	593	1,766
ეროვნული ვალუტა ბანკში	2,927,568	3,921,788
უცხოური ვალუტა ბანკში	23,640	284,093
სულ	2,951,802	4,207,646

შენიშვნა 6

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	638,632	353,215
საექვო მოთხოვნათა ანარიცხები	(250,579)	(39,035)
გადახდილი ავანსები	71,788	59,486
წინასწარ გადახდილი გადასახადები	73,206	20,929
სულ	533,046	394,595

კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 211544.2 ლარის ოდენობით (2022 წელს ამ ხარჯის აკუმულირებული შედეგი იყო 39034.95 ლარი).

შენიშვნა 7

მარაგები

	2023	2022
ნედლეული და მასალები	560,906	577,644
მასალა პრომოციის (მარკეტინგული ჯგუფი)	53,523	37,488
სამეურნეო დანიშნულების მარაგები	14,707	11,072
სულ	629,137	626,204

შენიშვნა 8

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	158,931	396,300
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	4,763	2,230
მიღებული ავანსები	500	82
ვალდებულებები დაქირავებულთა მიმართ	11	110,286
სულ	164,205	508,898

შენიშვნა 9

ამონაგები

	2023	2022
საქონლის გაყიდვა	-	
მომსახურების გაწევა	11,934,095	11,588,753
სულ	11,934,095	11,588,753

შენიშვნა 10

სხვა შემოსავლები

	2023	2022
არასაოპერაციო მოგება	4,321	0
სულ	4,321	0

შენიშვნა 11

ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(837,851)	(795,656)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(659,623)	(517,725)

იჯარის ხარჯი	(1,520,232)	(1,461,516)
მიმდინარე რემონტისა და ექსპლუატაციის ხარჯები	(199,704)	(121,013)
საბანკო ხარჯები	(149,294)	(131,513)
სხვა ხარჯი	(191,491)	(613,356)
კომუნალური ხარჯები	(175,007)	(156,495)
კომუნიკაციის ხარჯები	(65,104)	(52,094)
კონფერენციების, წარმომადგენლობითი და საქველმოქმედო ხარჯები	(71,949)	(99,275)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(76,987)	(72,887)
მივლინების ხარჯები	(18,893)	(15,317)
საგადასახადო ხარჯი	(38,331)	(28,635)
დაზღვევის ხარჯი	(16,433)	(13,846)
საწვავი	(4,213)	-
ტრანსპორტირების ხარჯი	(1,371)	(17)
ოფისის ხარჯი	(8,682)	(3,298)
სულ	(4,035,166)	(4,082,642)

შენიშვნა 12

მიწოდების დანახარჯები	2023	2022
მარკეტინგული და რეკლამის ხარჯი	(65,077)	-
მიწოდების სხვა დანახარჯები	(19,105)	-
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(5,871)	-
სულ	(90,053)	-

შენიშვნა 13

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო	2023	2022

საკუროს სხვაობით მიღებული საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	6,456	(373,940)
სულ	6,456	(373,940)

შენიშვნა 14

სხვა ხარჯები	2023	2022
მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	(211,544)	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან ნამეტი (-/+)	(6,202)	-
ადმინისტრაციული ხარჯები	(3,167)	(1,240)
სხვა ხარჯები	-	(24,452)
სულ	(220,913)	(25,692)

შენიშვნა 15

ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ფინანსური ხარჯი	2023	2022
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	-	(9,809)
სულ ფინანსური დანახარჯები	-	(9,809)

	TRUE	TRUE
ფინანსური შემოსავალი		
მოთხოვნამდე დეპოზიტზე დარიცხული სარგებელი	329,832	82,450
სულ ფინანსური შემოსავალი	329,832	82,450
ნეტო ფინანსური დანახარჯები	329,832	72,641

შენიშვნა 16

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმოს ჰყავს ერთი 100%-აინი დამფუძნებელი, რომელიც წარმოადგენს ნიდერლანდებში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს - მედიკოვერ ინვესტმენტ ბი.ვი.

საქონლისა და მომსახურების შეძენა:

	2023
მშობელი საწარმო - Medicover Investment B.V.	15,376
სულ	15,376

მშობელ საწარმოსთან კომპანიის საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებულ ბიზნეს-ტრანზაქციის ღირებულება განსაზღვრული იყო საბაზრო პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

	2023
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 8, 16)	4,763
მშობელი საწარმო - Medicover Investment B.V.	
სულ	4,763

ღირეუტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2023
შრომის ანაზღაურება მთლიანად	375,026
სულ	375,026

შენიშვნა 17

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მაკორექტირებელ ან/და არამაკორექტირებელ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2024 წლის 02 სექტემბერს.